MES 5 22 0001582361

09/12/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 25. 11. 2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 15:50
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ირინა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
5. ერეკლეასტახიშვილი - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
6. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. ლევან მოსახლიშვილი - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;

8. თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
10. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
11. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**ნინო სარჯველაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	**ედვინი სირბილაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	მანანა ცერცვაძე	**შპს "სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი"**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**I,II**
2	მარიამ ველიჯანაშვილი		მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (ქართულ/ინგლისური) ხელმძღვანელი	**I,II**
3	ხათუნა მაკალათია		მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	**I,II**
4	ნათია გოცაძე	**შპს "მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო**	რექტორი	**III**
5	მაკო ჯაოშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
6	მარიამ დარბაიძე			**III**

		სასწავლო უნივერსიტეტიალტერბრიჯი“	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	დავით ჯიქია	(ჩაერთო „ზუმით“)	I,II
2	თამარ გოდერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I,II
3	თორნიკე ხოშტარია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
4	თინათინ სტამბოლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
5	ელდარ პირმისაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	მარიამ ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;
2. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის "სტრატეგიული კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

შუამდგომლობის ინიციატორი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ნინო სარჯველაძე. მისი შუამდგომლობა ეხებოდა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვის გადადებას.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის "სტრატეგიული კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N367134 18.05.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა 0912
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0114, მეფე სოლომონ მე-2 ის ქუჩა, N4, N6

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

2. მეორე საკითხი: შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N367133 08/05/2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა 0912
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0114, მეფე სოლომონ მე-2 ის ქუჩა, N4, N6
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადა ირინა გველესიანმა
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი და მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დიმიტრი ჯიქია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ვიზიტი შედგა 2022 წლის 11 ოქტომბერს შპს „სასწავლო უნივერსიტეტ გეომედში“ ქალაქ თბილისში. მისი თქმით, მონიტორინგის პროცესი მოიცავდა შეხვედრებს, რომლის დროსაც განხორციელდა მატერიალური რესურსების შეფასება. სამუშაო შეხვედრა კონსტრუქციულ გარემოში გაიმართა, სადაც ჩართული იყვნენ დაინტერესებული პირები. შეხვედრის დროს განხილული იყო ის საკითხები, რომლებიც ეხებოდა პროგრამის აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულებასა და განხორციელებას. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ გაცემული იყო 5 რეკომენდაცია. თითოეული რეკომენდაციის მიხედვით უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ქმედებები შეფასდა თანმიმდევრულად. მან აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია ეხებოდა “OSCE”-ის გამოცდისთვის, ლაბორატორიული პრაქტიკისთვისა და ტრენინგებისათვის შესაბამისი სივრცის მოწყობას, განახლებასა და განვითარებას. მოცემული რეკომენდაცია შესრულდა დაწესებულების მიერ. მან დაამატა, რომ დაწესებულებაში შეიქმნა ოთხი დამოუკიდებელი, იზოლირებული სადგური და ორი სამეთვალყურეო სივრცე შიდა ტიხრით. ეს სივრცეები აღჭურვილია ინვენტარით. საგამოცდო წუთობრივი შეფასების პრინციპი დაცულია. როგორც დიმიტრი ჯიქიამ აღნიშნა, უნივერსიტეტი გეგმავს დამატებითი სივრცეების მოწყობას. მან დაამატა, რომ დღეს ეს გეგმა უნივერსიტეტის სტუდენტების რაოდენობასთან შესაბამისობაშია. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სილაბუსების მოდიფიცირებასა და პერმანენტულ განახლებას. უნივერისტეტმა სრულად გაიზიარა ეს რეკომენდაცია. ყველა წარმოდგენილი სილაბუსი, კურიკულუმი და საგანმანათლებლო პროგრამა განახლდა. მასალის მოცულობა ყველა სილაბუსში გადანაწილდა თემატიკის მიხედვით. გარდა ამისა, განახლდა ძირითადი ლიტერატურული წყაროები. თავჯდომარის თქმით, ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობა და ფუნქციების გადანაწილება, რაც მისასალმებელია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მესამე რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსებზე შედეგისა და კომპეტენციის შეფასებას, რომელიც დასტურდება პროგრამებით, სილაბუსებითა და ინტერვიუებით. ეს რეკომენდაციაც უსდ-მ შეასრულა. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა შეფასების მეთოდების გამოყენებას. ექსპერტის თქმით, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოიყენება მრავალფეროვანი შეფასების სისტემა და მეთოდები, რომელიც ეხება მინი კლინიკურ შემთხვევებს და გამოცდებს, როლურ თამაშებს და ა.შ. ეს ყველაფერი მომხიბვლელობას ანიჭებს პროგრამას. მეხუთე რეკომენდაცია ეხებოდა “OSCE”-ის გამოცდებში ჩართული პირების შერჩევას მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებით, სპეციალობის მიხედვით, პრაქტიკული სამუშაო გამოცდილებით, დამატებითი კადრების მობილიზებითა და გადამზადებით მომიჯნავე სპეციალობის გათვალისწინებით. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ შპს „სასწავლო უნივერსიტეტმა გეომედმა“ დამატებით მოიწვია პერსონალი, რომელიც დასტურდება უნივერისტეტის შიდა N201-ი ბრძანებით. ისინი უზრუნველყოფენ “OSCE”-ის გამოცდების მსვლელობას. მისი თქმით, თხუთმეტმა აკადემიურმა პერსონალმა გაიარა ტრენინგი, რომელიც დასტურდება გაცემული სერთიფიკატით. ტრენინგის სახელწოდება იყო „სწავლების, სწავლისა და შეფასების თანამედროვე მიდგომები დიპლომამდელ სამედიცინო განათლებაში“. დიპლომირებული

მედიკოსის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა იდენტურია თავისი შინაარსით. როგორც მან აღნიშნა, ექსპერტთა მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია შესრულებულია და გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, მანანა ცერცვაძე, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წინა მეექვსე რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსის, აკადემიური წერის მიზნებისა და შედეგების მორგებას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. მან დასძინა, რომ ეს რეკომენდაცია გათვალიწინებულია უსდს მიერ. ილაბუსებში წარმოდგენილი ლიტერატურა განახლებულია. მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ დაწესებულებამ სრულად გაიზიარა რეკომენდაციები. მისი თქმით, რეკომენდაციების შესრულება და გაზიარება უნივერისტეტისა და პროგრამის წარმატების საწინდარია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი ხათუნა თოდაძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარეს დიმიტრი ჯიქიას. მას აინტერესებდა მოხდა თუ არა დაწესებულების მიერ "OSCE"-ის საგამოცდო „ჩეკლისტების" წარმოდგენა და გაეცნო თუ არა ექსპერტთა ჯგუფი მათ. დიმიტრი ჯიქიას თქმით, არ მომხდარა "OSCE"-ის საგამოცდო ჩეკლისტების გაცნობა. ხათუნა თოდაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა არის თუ არა მზად "OSCE"-ის საგამოცდო ჩეკლისტები გამოცდებისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა მარიამ ველიჯანაშვილმა უპასუხა, რომ ჩეკლისტები არის გამზადებული "OSCE"-ის ყველა გამოცდისთვის და საგნისთვის სადგურების შესაბამისად თითოეულ კლინიკურ ქეისზე როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. მისი თქმით, ექსპერტებს ადგილზე ვიზიტის დროს არ მოუთხოვიათ ჩეკლისტები. მან აღნიშნა, რომ ჩეკლისტების გარეშე "OSCE"-ის გამოცდები ვერ ჩატარდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:23
დასრულების დრო: 14:37

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული

მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე შეწყდეს არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე შეწყდეს არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება

3. მესამე საკითხი: შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის "სტრატეგიული კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტრატეგიული კომუნიკაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N758830 01/09/2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სტრატეგიული კომუნიკაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი	-

	ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0414 - მარკეტინგი და რეკლამა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი 0162, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი #67
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე თორნიკე ხოშტარია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ვიზიტმა მშვიდ და პროფესიონალურ გარემოში ჩაიარა. მან ისაუბრა ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე, კერძოდ, გაიცა 8 რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხს, ვინაიდან ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი შესაბამისი ინტერპრეტაციით არ იყო ასახული "გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცების" მატრიცაში, მაგ. სტრატეგიული მენეჯმენტი. მან აღნიშნა, რომ მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსებსა და შიდა კომუნიკაციის სტრატეგიას - გაძლიერდეს აღნიშნული კურსის თემატიკის სწავლება ძირითად სასწავლო კურსში შემავალ რომელიმე საგანში. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა მედია კომუნიკაციის სასწავლო კურსს. ამ რეკომენდაციის მიხედვით, რეკომენდირებულია „მედია კომუნიკაცია" სასწავლო კურსი წარმოდგენილი იყოს ძირითად სასწავლო კურსებში ან თემატიკა ინტეგრირდეს შესაბამის ძირითად სასწავლო კურსების კონტენტში. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა კორპორაციული პასუხისმგებლობის სასწავლო კურსის დამატებას - რეკომენდირებულია „კორპორაციული პასუხისმგებლობის" სასწავლო კურსი დაემატოს ძირითად სასწავლო კურსებს ან ინტეგრირდეს რომელიმე ძირითადი სასწავლო კურსის შინაარსში. მეხუთე რეკომენდაცია ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომებში ხარისხის გაუმჯობესებას - ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი შესრულდეს ადეკვატური რაოდენობის წყაროებიდან ასევე, კვლევითი კომპონენტში გამოყენებულ იქნას რელევანტური კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი მოხდეს სამაგისტრო ნაშრომთან შესაბამისი ანალიტიკური ხერხებით (სტუდენტმა გამოიყენოს არა აღწერითი, არამედ დასკვნითი სტატისტიკის მეთოდები). მეექვსე რეკომენდაცია ეხებოდა უსდ-ს მიერ შემუშავებული

დოკუმენტის - "სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის ინსტრუქციის" საჭიროებას. რეკომენდაციის მიხედვით, უსდ-ს მიერ შემუშავებული დოკუმენტი - "სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის ინსტრუქცია" საჭიროებს, რომ სწორად იყოს მიწოდებული მაგისტრანტებისთვის. ამაში იგულისხმება სტილი, რომელიც უნდა იყოს დაცული ნაშრომის მომზადების პროცესში. მეშვიდე რეკომენდაცია ეხებოდა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისა და ნაშრომის ხელმძღვანელების რაოდენობის გაზრდას - რეკომენდირებულია სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზარდოს ნაშრომის ხელძღვანელების რაოდენობა მათი კომპეტენციის შესაბამისად. მერვე რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტის მხრიდან აფილირებული და აკადემიური პერსონალის წახალისების კუთხით მეტი სამოტივაციო აქტივობების გატარებას. აღნიშნული მათ მისცემს მეტ მოტივაციას საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე, სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროში გაზარდონ სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი ნათია გოცაძე მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა,რომ "სტრატეგიული კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორი წელია ხორციელდება. სტუდენტების უკუკავშირი და ის პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს უნივერსიტეტში მეტყველებს იმაზე, რომ დაწესებულებისთვის ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამა. მისი თქმით, ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია უსდ-ს მხრიდან. პირველი რეკომენდაცია, რომელიც პროგრამას 2 წლის წინ ჰქონდა მიღებული და შესასრულებელი, სასწავლო პროცესი შესრულებული დავალებებით დაიწყო, რომლებიც აისახა დასკვნაში. მან დაამატა, რომ დაწესებულებას ჰქონდა არგუმენტირებული პასუხი რამდენიმე საკითხზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის მიდგომა, რომელიც დაწესებულებას აქვს "სტრატეგიულ კომუნიკაციასთან" მიმართებით, როგორიც არის სტუდენტებთან ურთიერთობა შედეგებში, კარიერულ წინსვლაში და ა.შ. ეს ყველაფერი იმის საფუძველს იძლევა, რომ "სტრატეგიული კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მნიშვნელოვანია. სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ თავისი წვლილი შეიტანოს პროგრამის განვითარებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა მაკო ჯაოშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული საქმიანობის დასრულებისას მათ მიიღეს დასკვნის პირველადი მონახაზი. მან რეკომენდაციების შესახებ ისაუბრა და თქვა, რომ პირველი რეკომენდაცია მოდიფიცირების პროცესშია და დამტკიცდება დადგენილი წესით. პროგრამისა და დაწესებულების მისია არის წვლილის შეტანა დარგის განვითარებაში და სტუდენტების პროფესიონალებად აღზრდა. მაკო ჯაოშვილმა დაამატა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია. მისი თქმით, „შიდა კომუნიკაციის სტრატეგია" ისედაც იყო ინტეგრირებული „მოლაპარეკების სტრატეგიაში", თუმცა საჭიროა ამ საგნის წინა პლანზე წამოწევა და მისი მეტად ინტეგრირება. ეს გააძლიერებს სტუდენტის ცოდნას და გაუღრმავებს სწავლის შედეგების მიხედვით კომპეტენციას. მან ასევე აღნიშნა, რომ პრაქტიკის სასწავლო კურსში პროგრამის ძლიერ სასწავლო მხარეს წარმოადგენს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მუშაობა. მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ „კორპორაციული პასუხისმგებლობა" შესაძლებელია ცალკე საგნად განიხილებოდეს, მაგრამ ამ ეტაპზე რამდენიმე სასწავლო კურსში არის ინტეგრირებული. დაწესებულებაში არის შექმნილი კლუბი, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ამ მიმართულებით დაამუშაონ სხვადასხვა თემა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად იმსჯელონ პასუხისმგებლიანი მოქალაქეების განვითარებაზე. მან დაამატა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევებიც. წინა წელს პროგრამაზე 8 სტუდენტი იყო და, შესაბამისად, თემის ხელმძღვანელების რაოდენობა მორგებული იყო ამ სტუდენტებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა გაფართოვდა, გაძლიერდა და სტუდენტების რაოდენობამაც იმატა. გაიზარდა

პარტნიორ ორგანიზაციათა რაოდენობა, რომელიც საშუალებას იძლევა თემის ფარგლებში კონკრეტული დარგის სპეციალისტების მოწვევას. პერიოდულად ტარდება შეხვედრები დამსაქმებლებთან. მისი თქმით, „მიჩიგანის უნივერსიტეტის“ პროფესორმა ერი ფრიდმანმა გამოთქვა სურვილი, რომ უნივერსიტეტებს შორის შედგეს კოლაბორაცია, რომელიც მხარდაჭერას გაუწევს პროგრამების განვითარებას როგორც საგანმანათლებლო, ასევე სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენელმა მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა აკრედიტებულია 2019 წელს. შესაბამისად, პროგრამების აკრედიტაცია განხორციელდა შემდგომ. მან ხაზი გაუსვა რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის ხარისხის ინსტრუქციას, ფორმატსა და აკადემიურ სტილს. მისი თქმით, პროგრამას აქვს შემუშავებული ცალკე დოკუმენტი, რომელიც ეხება „აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკას“, რომელშიც დეტალურად არის დანართის სახით გაწერილი თუ რამდენ გვერდიანი უნდა იყოს ციტირების ინდექსი, სტილი და ა.შ. მან ასევე აღნიშნა, რომ წინა წელს 8 სტუდენტიდან 4 სტუდენტმა დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი. ავტორიზაციის შემდეგ პროგრამას მოუწია სამწლიანი შუალედური ავტორიზაციის მონიტორინგის ჩაბარებაც. ავტორიზაციიდან დღემდე დაწესებულების აკადემიური პერსონალის რაოდენობა 78%-ით არის გაზრდილი, რომელიც არ წარმოადგენს მცირე მაჩვენებელს. მისი თქმით, დაწესებულებამ სტუდენტს უნდა შესთავაზოს არა ნაშრომი, არამედ თემის მიმართულება. სტუდენტი დამოუკიდებლად ირჩევს თავის მიმართულებას. მარიამ დარბაიძემ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ დაწესებულებას აქვს “HR” პოლიტიკა. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამი შეფასება აკადემიური და მოწვეული პერსონალის. დაწესებულებას აქვს შემუშავებული წახალისების მექანიზმი. თითოეულ პროგრამას გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი. კვლევით აქტივობებზე ბიუჯეტიდან გაწერილია 10%-ი, რომელიც არ წარმოადგენს მცირე მაჩვენებელს ერთი პროგრამის ფარგლებში. ექსპერტებმა ეს საუკეთესო პრაქტიკაშიც დააფიქსირეს. ეს არის უწყვეტი პროცესი, რომელიც ყველა მიმართულებით მოქმედებს. მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტებს სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარეს თორნიკე ხოშტარიას, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ დასაქმების მაჩვენებელი პროგრამას 95% აქვს, რომელიც დაფიქსირებულია პროგრამის ჯგუფის მიერ. მას აინტერესებდა, ასეთი პროცენტი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელია თუ სტუდენტების, რომლებიც ჯერ კიდევ პროგრამაზე სწავლობენ. მან მეორე კითხვაც დასვა, კერძოდ, „სტრატეგიული მართვის“ წინაპირობად აღებულია მოლაპარაკებების სტრატეგიები. სილაბუსების გაცნობისას ლოგიკური კავშირი ამ ორ სასწავლო კურსს შორის ნაკლებად იკვეთება. მას აინტერესებდა „მოლაპარაკებების სტრატეგიები“, რომლებიც მოლაპარაკებებს ფსიქოლოგიური კუთხით აშუქებს შესაძლებელია „სტრატეგიული მართვის“ წინაპირობად იყოს. მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ „ინტერპერსონალური კომუნიკაციის მენეჯმენტის“ და სხვა სილაბუსში ძირითადი ლიტერატურული რესურსი სამაგისტრო საფეხურის პროგრამისთვის ნაკლებად შესაბამისია. „ინტერპერსონალური კომუნიკაციის მენეჯმენტის“ სილაბუსში ერთადერთი ძირითადი რესურსი, ლექტორის რიდერს თუ არ ჩავთვლით, გამოყენებულია პროფესიული საფეხურის განათლებისთვის შექმნილი სახელმძღვანელო - „ინტერპერსონალური კომუნიკაციები“. ეკატერინე ნაცვლიშვილს აინტერესებდა ცალკეული სილაბუსები რამდენად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ თორნიკე ხოშტარიამ უპასუხა, რომ დასაქმების მაჩვენელი მაღალია, რაც სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა. ნაწილი სტუდენტებისა პროგრამის დასრულების შემდეგ დასაქმდა. მისი თქმით, სტუდენტები აღნიშნავენ დაწესებულების ჩართულობას დასაქმების ფორუმში, რომელიც გამოიხატება დასაქმების ინფორმაციის მიწოდებით. ისინი კონსულტაციას უწევენ სტუდენტებს თუ როგორ მოემზადონ ინტერვიუებისთვის დამსაქმებლებთან. შესაბამისად, მარტივად მოხდა 95%-ის მიღება. სტუდენტებს აქვთ ყველანაირი შესაძლებლობა იმისა, რომ დასაქმდნენ. თორნიკე ხოშტარიამ აღნიშნა, რომ რამდენიმე სახელმძღვანელო არ შეესაბამებოდა დონეს. ეს

სახელმძღვანელოები წარმოდგენილი იყო რიდერებთან ერთად, რომლის გადახედვის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის ლიტერატურა, რომელიც სამაგისტრო პროგრამაზე არის წარმოდგენილი საკამარისი, რადგანაც მსგავსი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე არ არსებობს. „ინტერპერსონალური კომუნიკაციასთან“ დაკავშირებით თინათინ სტამბოლიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ სილაბუსებისა და სასწავლო გეგმის დეტალურად გადახედვა მოხდა, რომლითაც დადგინდა, რომ რამდენიმე სახელმძღვანელო განკუთვნილი იყო დაბალი საფეხურის პროგრამისათვის, თუმცა, გარკვეულ საგნებში, მაგალითად „ციფრულ კომუნიკაციაში“ იყო სახელმძღვანელო, რომლითაც მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტები ხელმძღვანელობენ და აქედან გამომდინარე ადეკვატურია, რომ ეს ლიტერატურა რიდერებთან და ლექტორის მასალებთან ერთად გამოიყენონ ყველა საგანში. ლექტორი იყენებს თანამედროვე კვლევებს, სტატიებს და ახდენს მათ ინტეგრირებას. ნათია გოცაძის თქმით, „ინტერპერსონალური მომსახურება“ არის პროფესიული მიმართულებით შექმნილი სახელმძღვანელო, რომელიც ერთადერთი ლიტერატურაა ქართულ ენაზე ამ სფეროში. „ინტერპერსონალური კომუნიკაციის მართვა“ ნაკლებად ეფუძნება თეორიულ მასალებს. სასწავლო პროცესი არის პრაქტიკული, რომელიც ორიენტირებულია „ინტერპერსონალური კომუნიკაციის“ გამომუშავებაზე. ექსპერტის აზრით, საკმარისია რიდერები, პრეზენტაციები და „ჰენდაუთები“ გამოიყენებოდეს როგორც ძირითადი მასალა. უნივერსიტეტს აქვს პოლიტიკა, სტრატეგია და მზაობა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ კონკრეტული საგნის გაძლიერების მიზნით მოხდეს ლიტერატურის თარგმნა. „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“ არ ისწავლება თეორიულ დონეზე იმიტომ, რომ ეს არის უნარი. მან აღნიშნა, რომ ამ საგანთან დაკავშირებით დაწყებულია რამდენიმე სტატიის ნაკრების შემუშავება, რათა მოხდეს ახალი რიდერის აკინძვა, რომელიც უფრო თანამედროვე და მნიშვნელოვანი იქნება. "სტრატეგიული კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის შექმნილია „სამუშაო რვეული“, სადაც განთავსებულია ყველა ტესტი და სამუშაო სისტემა, რომელშიც სტუდენტები ახორციელებენ დავალებებს როგორც ადგილზე, ისე დისტანციურად. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ თორნიკე ხოშტარიამ “სტრატეგიულ მენეჯმენტთან“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ სილაბუსის შინაარსი დამაკმაყოფილებელია და აქედან გამომდინარე რეკომენდაცია არ გაცემულა. დაწესებულების წარმომადგენლის, მაკო ჯაოშვილის თქმით, “სტრატეგიული მართვის“ სწავლების მიდგომა ინტერდისციპლინურია. ამ საგნის წინაპირობაა “მოლაპარაკების უნარები“ იმიტომ, რომ მასში მოცემულია ჯგუფური დავალებები, როგორ ხდება გასაუბრება კომპანიის ხელმძღვანელთან და ა.შ. საბჭოს თავჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა დასაქმებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას თვითშეფასების ანგარიშში არ აქვს მითითებული სტუდენტთა რაოდენობა კვალიფიკაციების მიხედვით და ის თუ რამდენია დასაქმებული. მას აინტერესებდა პროგრამაზე მიღებულ ცოდნას იყენებს თუ არა სტუდენტი იმ დასაქმების ადგილას სადაც ის მუშაობს. მას ასევე აინტერესებდა სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით ვინ შეიძლება იყოს ნაშრომის ხელმძღვანელი და რა არის დაწესებულების მხრიდან მოთხოვნა, რომ პირი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი გახდეს. დაწესებულების წარმომადგენელმა მარიამ დარბაიძემ განმარტა, რომ უნივერსიტეტმა ორი კვლევა ჩაატარა, რომელიც სწავლის შეფასების ანგარიშის დროსაც გამოიყენეს და წარმოდგენილია ხარისხის დოკუმენტაციაშიც. გარდა ამისა, დაწესებულება ზრუნავს იმაზე, რომ სტუდენტებს ხელი შეუწყონ დასაქმებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელობა შეუძლია როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალს, რომელსაც გააჩნია დოქტორის ხარისხი. დაწესებულების წარმომადგენელმა ნათია გოცაძემ აღნიშნა, რომ პროგრამას ჰყავს 4 კურსდამთავრებული. შესაბამისად, რთულია განისაზღვროს იმის სტატისტიკა კურსდამთავრებულმა კონკრეტულად ამ პროგრამით რამდენად შეძლო დასაქმება, თუმცა, პირველ რვა სტუდენტში სწავლების პროცესშივე დაფიქსირდა ის, რომ მათ შეიცვალეს სამსახური. ერთ-ერთი სტუდენტი დასაქმდა იმ პრაქტიკის ობიექტში, სადაც გადიოდა სტაჟირებას პროგრამის ფარგლებში.

საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ სამეცნიერო ჟურნალთან დაკავშირებით - დაწესებულებას გამოცემული აქვს სამი ელექტრო ჟურნალი, რაც მისასალმებელია. სინამდვილეში გამოცემულია ერთი ელექტრო ჟურნალის სამი ნომერი. მას აინტერესებდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ჟურნალი, „თანამედროვე მეცნიერების გამოწვევები“ ელექტრონული სახით რატომ არ იკითხება სრული სამეცნიერო აპარატის გამოყენებით. მან აღნიშნა, რომ იკითხება მხოლოდ ცალკეულად ამობეჭდილი სტატიების „PDF“ ვერსიები, ვებ-გვერდზე გამოტანილ სარჩევთან, გარდა ამისა ხელმისაწვდომ “PDF” ვერსიებში პაგინაციის ლოგიკა სტატიებს შორის დარღვეულია. დაწესებულების წარმომადგენელმა მაკო ჯაოშვილმა უპასუხა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულება მუშაობს პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად. ის ტექნიკური ხარვეზი, რომელიც საიტზეა დაფიქსირებული გადამოწმდება და გამოსწორდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:22
დასრულების დრო: 15:50
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის "სტრატეგიული კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერის ვადით აკრედიტაცის მინიჭების საკითხი 1 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის "სტრატეგიული კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2024 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი, ვინაიდან ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი შესაბამისი ინტერპრეტაციით არ არის ასახული გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცების მატრიცაში, მაგ. სტრატეგიული მენეჯმენტი.

2. რეკომენდირებულია ძირითად სასწავლო კურსებს დაემატოს „შიდა კომუნიკაციის სტრატეგია“, ან გაძლიერდეს აღნიშნული კურსის თემატიკის სწავლება ძირითად სასწავლო კურსში შემავალ რომელიმე საგანში;
3. რეკომენდირებულია „მედია კომუნიკაცია“ სასწავლო კურსი წარმოდგენილი იყოს ძირითად სასწავლო კურსებში ან თემატიკა ინტეგრირედეს შესაბამის ძირითად სასწავლო კურსების კონტენტში.
4. რეკომენდირებულია „კორპორაციული პასუხისმგებლობის“ სასწავლო კურსი დაემატოს ძირითად სასწავლო კურსებს ან ინტეგრირდეს რომელიმე ძირითადი სასწავლო კურსის შინაარსში.
5. რეკომენდირებულია ცალკეული სასწავლო კურსების წინაპირობები (მაგალითად, სტრატეგიული მართვა; რეპუტაციის მენეჯმენტი; პროექტების მართვა; სხვ)) გადაიხედოს და განისაზღვროს სილაბუსის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგებისა და დასაუფლებელი თემატიკის გათვალისწინებით.
6. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსებში (სავალდებულო კურსები: ინტერპერსონალური კომუნიკაციის მენეჯმენტი; მარკეტინგული კომუნიკაციის სტრატეგია; სტრატეგიული კომუნიკაცია; ასევე, არჩევითი კურსები - ორგანიზაციული ლიდერობა; საზოგადოებასთან ურთიერთობა საჯარო მმართველობაში; თანამედროვე მენეჯმენტი) გამოყენებული ლიტერატურა გადაიხედოს რესურსის დუბლირების აღმოფხვრისა და სამაგისტრო საფეხურის, ასევე მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი რესურსით (სახელმძღვანელოები; სამეცნიერო პუბლიკაციები; სხვა რელევანტური რესურსი) შევსების მიზნით.
7. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომებში ხარისხის გაუმჯობესება. კერძოდ, ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი შესრულდეს ადექვატური რაოდენობის წყაროებიდან ასევე, კვლევითი კომპონენტში გამოყენებულ იქნას რელევანტური კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი მოხდეს სამაგისტრო ნაშრომთან შესაბამისი ანალიტიკური ხერხებით (სტუდენტმა გამოიყენოს არა აღწერითი, არამედ დასკვნითი სტატისტიკის მეთოდები).
8. უსდ-ს მიერ შემუშავებული დოკუმენტი - “სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის ინსტრუქცია” და საჭიროებს, რომ სწორად იყოს მიწოდებული მაგისტრანტებისთვის. ამაში იგულისხმება სტილი, რომელიც უნდა იყოს დაცული ნაშრომის მომზადების პროცესში.
9. რეკომენდირებულია სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზარდოს ნაშორმის ხელმძღვანელების რაოდენობა მათი კომპეტენციის შესაბამისად.
10. რეკომენდირებულია, აკადემიურმა პერსონალმა გამოაქვეყნოს არა ზოგადად რეცენზირებად სამეცნიერო პერიოდიკაში, არამედ ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus ან Web of Science-ის ბაზებში.
11. რეკომენდირებულია უნივერსიტეტის მხრიდან აფილირებული და აკადემიური პერსონალის წახალისების კუთხით მეტი სამოტივაციო აქტივობების გატარება. რაც მათ მისცემთ მეტ მოტივაციას საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე, სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროში გაზარდონ სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები.

რჩევები:

1. სასურველია დაემატოს კამპანიების დაგეგმვის სასწავლო კურსი, რომელიც სისტემატიზირებას გაუკეთებს სხვადასხვა საგანში მიღებულ ცოდნას.

2. სასურველია ორგანიზაციაში სტაჟირებისას ყურადღება დაეთმოს უშუალოდ სამუშაო პროცესში ჩართვას და არა - დამოუკიდებელი, განყენებული პროექტის განხორციელებას. ეს განსაკუთრებით ეხება მედია ორგანიზაციაში სტაჟირებისას, რაც მნიშვნელოვანი შესაძლებელი იქნება სტუდენტებმა განიმტკიცონ მედიასთან ურთიერთობის საკითხები.
3. სასურველია სტუდენტების მეტი ჩართულობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. კერძოდ, საგანმანათლებლო საერთაშორისო მობილობის ფარგლებში სტუდენტების ჩართულობა; საერთაშორისო კოფერენციებში, ფორუმებსა და ტრენინგ კურსებში სტუდენტების აქტიური მონაწილეობა; პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესურის მოწვევა სასწავლო უნივერსიტეტში და აკადემიური აქტივობის განხორციელება.
4. სასურველია სტუდენტების მეტი ინფორმირება ,,აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის“ შესახებ.
5. სასურველია პროგრამის მეტი პოპულარიზაციის კუთხით ბიუჯეტში გაიწეროს მარკეტინგული და PR აქტივობებისთვის განკუთვნილი სარჯები.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 25 ნოემბრის 15:50 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით